სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
ერთობლივი ბრძანება

ქ. თბილისი

MES 5 23 0001520485

09/11/2023

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებსა და პერსონალზე განპიროვნებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების განსაზღვრის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე და 24-ე მუხლების, „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 06 თებერვლის №121 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის მართვის, შრომის უსაფრთხოების და ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ალექსანდრე სოხაძის 2023 წლის 08 ნოემბრის MES 9 23 0001514909 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ :

1. განისაზღვროს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებსა და პერსონალზე განპიროვნებული უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი დანართის შესაბამისად (დანართი).
2. დანართით განსაზღვრული პერსონალი/სტრუქტურული ერთეული პასუხისმგებელია მათზე სამსახურებრივ სარგებლობაში გადაცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ გამართულობასა და ღამის დგომაზე.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს ინფრასტრუქტურის მართვის, შრომის უსაფრთხოების და ლოგისტიკის დეპარტამენტმა.
4. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტმა.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).



რექტორი
გურგენიძე დავით

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი)

კარლო კოპალიანი